სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №98/1
(გამარტივებული შესყიდვა, წარმომადგენლობითი ხარჯი)

ქ. მცხეთა 19 ივლისი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით, (მოქმედი სსიპ „საქპატენტის" თავმჯდომარის მიერ 2013 წლის 3 იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე), და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „დავით კერესელიძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დავით კერესელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2018 წლის 19-23 ივლისს, საქპატენტისა და აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის ორგანიზებით, ქართველი ჟურნალისტებისა და მოსამართლეებისთვის, ერთობლივად დაგეგმილ ტრეინინგში *(ტრეინინგი ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს, გაიმართება ქ. ბათუმში)* მონაწილე სტუმრებისათვის, 2 მიკროავტობუსით სატრანსპორტო მომსახურების (CPV-60171000) უზრუნველყოფა, კერძოდ:

- ჟურნალისტების ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით -19 ივლისი, რეისი: თბილისი-ბათუმი, 21 ივლისი, რეისი: ბათუმი-თბილისი, ღირებულება: 2800.00 ლარი,
- მოსამართლეების ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით -20 ივლისი, რეისი: თბილისი-ბათუმი, 23 ივლისი, რეისი: ბათუმი-თბილისი, ღირებულება: 2800.00 ლარი,

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

3.1.2. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

3.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.4.1. უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების გაწევა ხარისხიანად, დროულად, სრულად და კეთილსინდისიერად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების პირობები

4.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების მართვის განყოფილების მთ. სპეციალისტი (ხათუნა ციმაკურიძე).

5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

5.1. ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს: **5600.00 (ხუთი ათას ექვსასი) ლარს.**

5.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

7.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

7.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გარდა 7.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

7.5. მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. 7.5 ხელშეკრულების პირობების დარღვეისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.7. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

8.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ

გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა).
8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ.
8.4. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
8.5. მხარეები ანახლებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
9.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ დადგინდება რომ ხარვეზი ან ნაკლი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით.
9.3 ინსპექტირების შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელეოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 აგვისტომდე.
11.2 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
11.3 ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

11.3.1 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.3.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები;

11.3.3დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) მოქმედება გრძელდება 1 თვეზე მეტ ხანს;

11.3.4 წინამდებარე ხელშეკრულების 7.3. და 7.6. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას ექნება ადგილი.

11.4 ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლებით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს).

13.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილობა ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

13.5 ურთიერთობანი, რომელიც არ არის რეგულირებადი წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-
რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"
მისამართი: ქ. მცხეთა ანტიოქიის ქ. №5
საიდენტიფიკაციო კოდი: 203831363
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი: 707807132

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ვლადიმერ სიხარულიძე

მიმწოდებელი

ინდ. მეწარმე „დავით კერესელიძე"
მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის 13, ბ.29
საიდენტიფიკაციო კოდი: 01025012210
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი" ც/ფ,
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE50BG 0000 0008 1683 4000

ინდ. მეწარმე „დავით კერესელიძე"

მიღება-ჩაბარების აქტი №98/1

2018 წლის 19 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N98/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

ქ. მცხეთა 27 ივლისი 2018 წ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" 2018 წლის 19 ივლისის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების" მე-2 მუხლის შესაბამისად, მიმწოდებელმა: ინდ. მეწარმე „დავით კერესელიძე"-მ უზრუნველყო 2018 19-23 ივლისს, საქპატენტისა და აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის ორგანიზებით, ქართველი ჟურნალისტებისა და მოსამართლეებისთვის ერთობლივად ჩატარებულ ტრეინინგში *(ტრეინინგი ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს, გაიმართა ქ. ბათუმში)* მონაწილე სტუმრებისათვის, 2 მიკროავტობუსით სატრანსპორტო მომსახურება (CPV-60171000), კერძოდ:

- ჟურნალისტების ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით -19 ივლისი, რეისი: თბილისი-ბათუმი, 21 ივლისი, რეისი: ბათუმი-თბილისი, ღირებულება: 2800.00 ლარი,
- მოსამართლეების ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით -20 ივლისი, რეისი: თბილისი-ბათუმი, 23 ივლისი, რეისი: ბათუმი-თბილისი, ღირებულება: 2800.00 ლარი,

სულ გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს: **5600.00 (ხუთი ათას ექვსასი) ლარს.**

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი 2018 წლის 19 ივლისის ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების" შესაბამისად წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

„შემსყიდველი"
„საქპატენტი"
საერთაშორისო ურთიერთობათა
და პროექტების მართვის განყოფილების
მთ. სპეციალისტი ხ, ციმაკურიძე

„მიმწოდებელი"
ინდ. მეწარმე „დავით კერესელიძე" დ. კერესელიძე

მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის 13, ბ.29 საიდენტიფიკაციო კოდი: 01025012210
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ც/ფ, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE50BG 0000 0008 1683 4000

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. მცხეთა 19 ივლისი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ 2018 წლის 19-23 ივლისს, საქპატენტისა და აშშ-ს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის ორგანიზებით, ქართველი ჟურნალისტებისა და მოსამართლეებისთვის, ერთობლივად დაგეგმილ ტრეინინგში ***(ტრეინინგი ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს, გაიმართება ქ. ბათუმში)*** მონაწილე სტუმრებისათვის, 2 მიკროავტობუსით სატრანსპორტო მომსახურების (CPV-60171000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (მომსახურება განხორციელდება 19/07/2018 -23/07/2018 მიმწოდებელი ი/მ ,,დავით კერესელიძე'', ს/კ 01025012210) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა
და პროექტების მართვის
განყოფილების მთ. სპეციალისტი ხათუნა ციმაკურიძე